

# კომუნისტი

ფასი 10 მან.

№ 62 ურბანული ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომისიასთვის. № 62

## გზაგადაკვეთილი რუსეთი

უკანასკნელი დღის დებულებები სხვა-რუსეთი ახდენენ მის გულს, ვისთვის მუშურ გლეხური რუსეთის საბოლოო გამარჯვება სანატრიელი, აღმადგინოვანებელია. რუსეთსა და ფინლიანდიას შორის ზავი ჩამოვარდნილა. წითელი პეტერბურგის, პროლეტარული რუსეთის მოსისხლე მტერი—ფინლიანდიის ბურჟუაზია, საკუთარი ქვეყნის მუშების სისხლში ამოვლენულია, ავაზაკური დანით ხელში იდგა მესამე წელიწადი პეტერბურგის გუბერნიის საზღვარზე და ჯალათურად ზურგში ჩაიკემა უპირებდა რევოლუციის სატახტო ქალაქს. ჯერ გერმანულ მხეც გენერლებს ერთგულნი დამქაშები, შემდეგ ანტანტის ყურმოკრილი მონები, ფინლიანდიის ექსპლუატატორები ყოველთვის მუსრს ავლენდნენ ფინლიანდიის მშრომელთ და მათ თან ერთად სურდათ ჯვარზე ეცვათ რუსეთის სოციალისტური პროლეტარიატი. აუარებელი ჯარის ყოლა უხდებოდა საბჭოთა რუსეთის ფინლიანდიის საზღვარზე, პეტერბურგის მუშა უკანასკნელ ლუქმას არ ზოგავდა, რათა მისი გადფრთხილ ბურჟუაზიის შურისძიებისგან დამცველი წითელ-არმიული შედარებით მიძლარი ყოფილიყო. დღეს კი, ზავის ჩამოგდების შემდეგ საბჭოთა რუსეთის ეს კარი სამიერული უზრუნველყოფილია, დღეს შეიძლება პირველად 1917 წ. ოქტომბრიდან თავისუფლად ამოისუნთქოს პეტერბურგის პროლეტარიატმა, უკან დაიბრუნოს წითელი ჯარიდან თავისი ამაზნაკები და შეერთებული ძალებით შეუდგენ კრილიანობით დასერილ სოციალისტური სამშობლოს აღორძინების საქმეს.

მეორე დებუების მიხედვით უკვე გადაწყვეტილი ყოფილა 8 ამ თვეს ხელი მოაწერონ პოლონეთ რუსეთის შუა წინასწარ და დროებითი ზავს, რაც წინამორბედი საბოლოო ზავის მოკლე ხანში ჩამოგდებისა ორ მებრძოლ ქვეყნას შორის, ძირს დაიხრება ორივე მხრით თითქმის მილიონი ხიზტი, შეწყდება სისხლის ღვრა და რუსეთს მიეცემა საშუალება წარმოეხად დაუბრუნოს ასი ათასობით საუკეთესო მუშა, საუკეთესო მჭედელი ახალი ცხოვრებას.

დარჩა კიდევ ბარონ ვრანგელის ფრონტი. აქ უკვე გარდატეხის ნიშნები მოწყენი ვართ, მთელი საბჭოთა რუსეთი შეიძრა ბარონის უკანასკნელ გამარჯვებების შემდეგ, დაიძრა ყოველი მხრიდან კომუნისტების მოხალისე ლაშქარი, რკინის გზები ვერ აუდიან ვრანგელის წინააღმდეგ ეშვლონების გადაზიდვას, თვით ყუბანის და დონის მხარეების ყაზახობა შეეშურება ყირიმის ფრონტისკენ, რათა დააჩქაროს ბედისგან განწირულ ბარონის დამარცხება.

წითელი ჯარი გამარჯვებული გადმოვიდა მდ. დნეპრის მარჯვენა ნაპირზე და პერეკოპის ყელის მიმართულებით მოიწვეს წინ. ბარონის ჯარმა მიატოვა მარიუპოლი და ისევ თავის ბუნავისკენ იხვეს, ყირიმის ნახევარ კუნძულს აფარებს თავს. გადამწყვეტი ბრძოლა-შტაქმეები ისე მოახლოვებულია, რომ თვით აგულიაი-პოლკ-ს მოხეტიალე ატამანი მახხო მორჩილებას უტახადებს საბჭოთა მთავრობას და იხზვის, როგორც ჯილდოს, წითელ არმიელბთან შემოერთებას და ვრანგელის დასამარცხებლად გალაშქრებას. ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან კი დაიძვრის ამ დღეებშივე მაველი ჯარი და რეზერვები და შემოღობის ბუზი, რომელმაც მწარეთ უკბინა მუშურ-გლეხურ რუსეთს, ზამთრის

პირს ვეღარ მიაღწევს. ვერ უშვლის მას აფიცრთა მოზილიზაცია, რომელსაც ახდენს მის საშვალად ელდნაკრავი საფრანგეთი ბოლგარიაში, სტამბოლში და სხვ. ისტორიული აუცილებლობის უროსადაცა დაეშევა მძიმე მოსხლეტით და ანტანტას უკანასკნელ იმედს მტერათ აქცევს, განიანებებს, შავ ზღვაში გაფანტავს.

ჩვენ ვახსენებთ ანტანტა, ეს ცოტა ხნის უკან უძლიერესი კოალიცია ინგლის საფრანგეთ იტალიის მოყვანული ბურჟუაზიის. სადაც ეს მსოფლიო ბურჟუაზიის მღეთა-მძლე სამსონი, რომელიც ბჭეების შეზანაზრებას უპირებდა საბჭოთა რესპუბლიკის შენობას და მის ნგრევებში დამარხვით ემუშავებოდა რუსეთის მუშებს და გლეხებს.

ეს ანტანტა დღეს უკვე გათიშული და დარღვეულია. ინგლისის ანგარიშისანი ვაჭარი ბურჟუა მოწყურებულია საქონლის აღებ-მიცემობას რუსეთთან, ამასთანავე მის წინ აიტუზა საშინელი რეალური მოჩვენება ინგლისის მუშათა მოქმედების საბჭოს სახით, რომელიც რევოლუციით იმუშრება, თუ ინგლისმა რუსეთზე თავდასხმაში რაიმე მონაწილეობა მიიღო. ლიბდ ჯორჯიც იძულებულია მშვიდობიანობას დაუპიროს მხარი, დროებით მაინც. იტალია რევოლუციის ალის განაღების პროცესშია, მისი მთავრობა და ბურჟუაზია ადრინათი გაეცალდნ მოჩხუბართა წრეს, ახლა კი თითონ ალყა შემოარტყმული არიან და ქართველ მენშევიკებზე გაცილებით უფრო მეტარტყენ სიტყვებით აოხებენ გულს. ანტანტის შორეული, ომცა განუტულები ვილსონი ღარი გამოშვებით და მტუაზე იშლები, ხან კი სხვა სახელმწიფოების საზღვრების ხახვამია გართული და ენუქაზე უფრო ოხუნჯურ ანდერძებს სწერს. დარჩა გაცილებული, პირზე დღე მიმდგარი საფრანგეთი მოფელი მივანშეების. გული აქვთ დათუთქული, ოცი მილიარდი ფრანკი მარტო ვალათ აქვთ ოხრად ჩაყრილი მეფის რუსეთში, დიდათ ნახარჯი არიან დენი კინ-ფრანგულზედაც. „ვა-ბანკ“, სასო წარვეთილებით გაიძახიან უკანასკნელად და ახალ ასეულ მილიონებს იღებენ მეფის გენერლის სასარგებლოდ, ოლონდ კი მან არ ჩაუკლას მათ იმედი ვალის განაღების და სოციალისტური რევოლუციის ბუდის აფორიაქების, სისხლში ჩაღრმობის, მარა ამათა მათი ბრახი და ცოფი დანარჩენ ფრონტების არ მქონე საბჭოთა რუსეთი მალე აფორილებს წითელ დროშას სეგასტროლშიც. ერთი წლით მაინც მოსვენებული რუსეთი უძლეველი შეიქნება არა მარტო ბრძოლის ველზე, უძლეველი შეიქნება უსიხლო ფრონტზე, სოციალისტის შენებაში.

## მსუხანს პარკავალი...

გაზ. „სოფლის მუშის“ უკანასკნელ (7) ნომერში მოთავსებულ საპასუხო წერილის გამო საჭიროთ მიმართა კიდევ შეეცხო მის პირველ ნომერში აღძრულ ჩვენს კამათის საგანს.

ამ გაზეთმა გამოსვლისთანავე მიახალა თავის მკითხველებს ერთი მენშევიკური „თერიონი“ რადგან ომი ბალშევიკებს არსებობის დღეს უგრძელეს—დაახლოვებით ასე ამბობდა ეს გაზეთი—ამიტომ ისინი ომიანობის გათავებას მაინცა და მაინც არ ცდილობენო. ევროპაში ომი გათავდა, რუსეთში კი დაუბოლოვებელი ომი სწარმოებსო. პოლონელები ზავს სთხოვენ ბალშევიკებს, ესენი კი არ ჩერდებიან,

მაინცა და მაინც ეარზავა უნდა ავიღოთო.

რომ დღევანდელი მომენტის ბრძოლის პირობებში საბჭოთა რუსეთისათვის ზავი აუცილებელ სასიცოცხლო საჭიროებას წარმოადგენს სწორეთ დაწვებულ დიდ მოქალაქეობრივ ომში საბოლოო გამარჯვების თვალსაზრისითაც; რომ ბალშევიკებს სწურიათ ზავი და ამიტომ ისინი დიდ დათმობაზე მიდიან თავის მიმართ—ეს აშკარა უნდა იყოს ყოველ მ. მთხვევაში პოლიტიკური პატიოსნებით დაჯილდოვებულ ყველა იმ ჩვენ მოწინააღმდეგეთათვის, რომლებსაც კი ძილში არ გამოპარვიათ რუსეთის სამი უკანასკნელი წლის ცხოვრების მსვლელობა. მეც მივუთითებ გაზეთს ამ უკავო ფაქტებზე. მარა რადგანაც მათი ცნობით მისი „თერიონის“ ხუზულა ინგრეოდა, ამიტომ მენშევიკური გაზეთი ამაში ვერ დავიფანხმე. ჩემი ნათქვამი მან გამოაცხადა, როგორც ეს ზრდილობაზე წამ და უწუმ მოლაპარაკე ხალხს შეფერის, „თვალთმაქცობა“ და „ლათიანობა“. შევატყვე რა, თუ როგორ გამოყვეყნებულ „მევიანებთან“ მქონდა საქმე, მე საჭირო დავინახე მემოწმებო თვით აქაურ და რუსეთის მენშევიკების აზრი ბალშევიკების დათმობაზე ანტანტის მიმართ. პოლონეთზე გამარჯვების კანონიერება შე მე დავიფიქსე რუსეთის მენშევიკების ინგლის წრეები, რომელთა იმპერიალი სტობაში „დასავლეთის იმპერიალისტების“ აქაურ წვრილ ენება მადიდებელი რამდენათაც ვიცო ჯერ კიდევ არ შესვლიათ ეკვი. და მე შევეითებ „სოფლის მუშის“ რედაქციას: „მიმართა თუ არა მას სარწმუნოთ ჩემ მიერ მოყვანილი როგორც აქაური, ისე რუსეთელ მისი თანამოაზრების შეხედულება ბალშევიკების ზავის სურვილზე და პოლონეთზე გამარჯვების საჭიროებაზე და ეთანხმება თუ არა გაზეთი მათ“?

კეთილგონიერებამ უკანახა გაზეთს, ამ ნათლათ დასმულ კითხვაზე ეპასუხა სიწმით და კარგათაც მოიქცა.

მარა ამევე კეთილგონიერებამ აშკარათ ულაღატა მის, როდესაც მან მოისურვა უკანასკნელი განმარტობა მიეცა ჩვენი კამათის უმთავრეს კითხვაზე ევროპის იმპერიალისტების მიერ რუსეთის „დაწუნარების“ მიზეზების შესახებ. მკითხველებს შეიძლება ახსოვდეს, რომ თავის პირველ ნომერში ხსენებულმა გაზეთმა დაიწყო საუბარი ევროპისა და რუსეთის ურთიერთობაზე, რომელიც ბალშევიკების მიერ ძალა-უფლების დაპყრობის შემდეგ დღემდე სასკვდრო სასიცოცხლო ბრძოლით ხსიათდება. ის შეეხო ამ ბრძოლას და განაცხადა, რომ პურსა და სურსათის მისაღებათ დასავლეთის სახელმწიფოები ცდილობენ „დააწუნარონ“ რუსეთი და ამ მიზნით ენბარებოდნენ ისინი ბალშევიკებთან ბრძოლაში დენიკინს, კოლჩაკს, ვრანგელს და დღეს პოლონელებსო.

ექვს გარეშეა, რომ პური უადრესათ საჭირო საგანია და დამწეული კაცი ჩამოაღდებს მასზე ლაპარაკს, მარა იმპერიალისტებისა და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობის, მათ შორის ბრძოლის მიზეზების ასეთი ახსნა აშკარა დამახინჯება არას მიმდინარე საქვეყნო ამბების მნიშვნელობის. მე სწორეთ ეს აღვნიშნე ჩვენ გაზეთში. ამ ბრძოლის მნიშვნელობის სიმძიმის ცენტრი საჭირო იყო სხვა სფეროში ეძებნათ მათ, ვისაც ეს კიდევ არ უძებნია ან და გულწრფელად ცდილობენ გაურკვეონ ის თავის მკითხველებს. ეს სფერო არის (როგორც ეს მე მოკლედ აღვნიშნე ამ კამათში, ხოლო ხშირათ ფართოათა განვითარებულ ჩვენ გაზეთში) სოციალური ბუნება

ევროპაში და რუსეთში არსებულ ორნაირი ძალაუფლების, რომლებიც პოლიარული დაპირისპირებული მოხენების და ურთიერთლარყოფის მატარებელი არიან. ასეთი რთული მოვლენის ახსნა პურის საჭიროებით ფრიად ზერელე იქნებოდა. მარა უსაფუძვლო და ზერელე რამ ცოტა არ იწერება ჩვენში და მე სიტყვასაც ასე არ გავაგრძელებდი ამაზე, რომ ასეთი „ახსნიდან“ არ გამოსჭვიოდეს ზოგიერთი წრეების სურვილი დაამცირონ, დაამახინჯონ საქვეყნო ისტორიული მიზნები ბალშევიკების ბრძოლის, რომელმაც ასე დააფრთხო ჩვენებური, და არა მარტო ჩვენებური, დამბლა დაცემული „რევოლუციონერები“.

კამათის დროს „სოფლის მუშისათვის“ აშკარა შეიქნა, რომ დემოკრატიული მიზნით გატაცებულმა, მან ჯოხი ძალზე მარჯვენე გადალუნა: რომ ყველასათვის დასახნათ დამახინჯა მან დიდი ბრძოლის მიზეზები. მარა ეს რომ დავებო, ის გამოლმა შემოგვედავა: ამ მიზეზებზე ჩვენ სრულიადაც არ ვლაპარაკობდითო. ეს იყო უკანასკნელი ბუნავი, სადაც ახალი მენშევიკური გაზეთის ფურცლებზე სოფლებების გადასაყლაპავათ გამოგორებული ტყუილისათვის ამ მაცადინ ხალხს უკანასკნელი თავშესაფარი უნდა მიეცათ. მარა ტყუილს არა მარტო მოკვფებები აბია, ის ძნელ დასამილავაც არის. თავის უკანასკნელ წერილში, რომელსაც „სოფლის მუშის“ რედაქციამ ამ შესაფერისი სათაური მისცა: „წინასწარ განზრახული ტყუილი“, გაზეთმა ჩაილაპარაკა: „რაიცა ევროპასა და რუსეთს შორის ჩამოვარდნილი ურთიერთობის მიზეზების ახსნა შეეხება, ამაზე იძულებული ვართ გავიმეოროთ ის, რასაც პირველ წერილში ვამბობდით—საერთო სურსათ-სანოვავისა და კერძოთ პურის საკითხს, ამ ურთიერთობის დამყარების საქმეში ერთი თუ უდიდესი ადგილი უჭირავს თქმა“. (ხაზ ჩენია. კ. კ.)

როგორ, ბატონო, თქვენ ხომ ერთი ალიაქოთი ასტეხეთ და თავზე კაკალი დავატებეთ: ამ მიზეზების განმარტება არ შეადგენდა ჩვენი წერილის საგანსო. რატომ მალავდით ამ ერთი თვის წინეთ იმას, რაშიდაც დღეს გამოტყდით?

რაც შეეხება იმას თითქოს გეთქვათ, რომ პურის საკითხს ხსენებულ ურთიერთობაში ერთი უდიდესი ადგილი უჭირავს—მე კატეგორიულათ უარყოფ რომ ან ეს გეთქვათ თქვენ. ამაში დარწმუნდება ყველა, ვისაც მოთმინება და ინტერესი შესწევს გადაიკითხოს თქვენი წერილი. „ამირან“ გულში მღეროდაო... მე არ ვიცო, რა პქონდა გულში მენშევიკების „ამირანს“, როდესაც ის სოფლის მუშისათვის წერილს სწერდა. ყოველ შემთხვევაში ამის მსგავსით არასფერი უთქვამს მას თავის მკითხველებისათვის, რადგან ეს „ერთი“ მკითხველეთათვის ადრიაქდა „გამჭკრეტ“ ბუნებელში აზრს იმის შესახებ, რომ ყოფილა კიდევ სხვა „უადიდესი“ მიზეზები ხსენებული ურთიერთობის. ხოლო მათი მკითხველების ასეთი „გამსჭკრეტელობა“ არც თუ ისე საპირიანო ჩვენს მენშევიკებისათვის.

საკითხავია, რალა დარჩა „სოფლის მუშის“ დებულებებიდან ბალშევიკების მიერ ომის გავრძელების სურვილის, ევროპა-რუსეთის ურთიერთობის ახსნა განმარტების და სხ. შესახებ? აღარასფერი.

ერთ ჩემ წერილში მე ვამბობდი, რომ მენშევიკების გაზეთის რედაქცია უკან იხვეს, მარა იხვეს ბრძოლითკო. დღეს ბრძოლით უკან დახვევა გადასულა უთავ-

ბოლოთ უკან გაქცევაზე. და არც შეიძლება სხვანაირათ ყოფილიყო. სოფლის მუშებისათვის ნათქვამი და სათქმელი ტყუილების უკეთესათ დასაფარავათ მენშევიკურ ცენტრალურ კომიტეტს დასჭირდება ასეთ საქმეში უფრო დახლოვებული „ამირანები“, ვინემ მისი კვირეული გაზეთის ზოგი თანამშრომელია.

ჯერჯერობით ამით ვათავებ კამათს „სოფლის მუშისათვის“, ყოველ შემთხვევაში მის პირველ ნომერში აღძრულ სხვენებულ საკითხების გამო.

## საგჭოთს რუსეთის პრესა.

ამბ. რადეკი აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობაზე გაზ. „პრავდაში“ სწერს:

„როდესაც ბაქოში აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობაზე ჩვენ მივდიოდით, როგორც კომუნისტური ინტერნაციონალში მოაწყო, არც ერთმა ჩვენგანმა არ იცოდა რა რეალური მნიშვნელობა ექნება ამას. მარტომ ჩვენ ახლა გაუზვიადებულათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყრილობამ ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა.

იქ გამოცხადდა ორი ათასი წარმომადგენელი აღმოსავლეთის მრავალ მილიონიანი მშრომელთა სახელით, სახელდობრ, მუშები და გლეხები ოსმალეთიდან, სპარსეთიდან, ბუხარადან, ხივადან, თურქესტანიდან და კავკასიიდან. მასთან, არა საბჭოთა ქვეყნების დელეგატებს რომ მიეღწეათ ბაქოში, აუარებელი დაბრკოლებები უნდა გადაეღახათ.

არა ნაკლებ მოულოდნელი გამოდგა დელეგატების შეგნების დონე. აღმოსავლეთის მშრომელთა წარმომადგენლებთან ბაასმა ჩვენ გვიჩვენა, რომ, მიუხედავად მრავალჯვარ დაბრკოლებათა ისინი ევროპის მდგომარეობის დამახასიათებელ ცნობებს ისმენენ, კარგათ იციან ვინ არის მათი მტერი და მეგობარი. საბჭოთა რუსეთის მხრივ მტრებზე გააზრდებებმა მათ განუმტყიცა რწმენა ბრძოლის შესაძლებლობაში და საბოლოო გამარჯვებაში. საამო მოულოდნელობას წარმოადგენს ჩვენთვის ის ფაქტი, რომ ამ მოწინააღმდეგე ელემენტებმა, რომლებიც გამოცხადდნენ ყრილობაზე, დათარგუნეს ერთმანეთის წინააღმდეგ შუღლი და უნდობლობა, რასაც ათეული წლების განმავლობაში კაპიტალისტური სახელმწიფოების აგენტები ნერგავდნ და აღვივებდნ მათში.

პირველი ორი რეფერატი, ამბ. ზინოვიევის და ჩემი, საერთაშორისო მდგომარეობაზე იყო. ჩვენ აღმოსავლეთის ხალხს მიუთითებდით მათ ნთავარ მტრებზე, ინგლისის იმპერიალიზმზე. ეს რეფერატები გადათარგმნილ იქნა აღმოსავლეთის ხალხთა ხუთ ენაზე. შემდეგ გაიხსნა კამათი. რეფერატებმა დიდი ენტუზიაზმი გამოიწვია.

ჩვენ აღმოსავლეთის მშრომელთა წარმომადგენლებთან არ „უთამამობდით“, ჩვენ არ დავპირებდით მათ, რომ იოლათ გავიმარჯვებთ; პირაქო, ჩვენ მიუთითებდით მათ, რომ ბრძოლა ხან გრძლივი იქნება, და ამ ბრძოლაში მათ მოუხდებათ დიდი მსხვერპლის გადაება.

აღმოსავლეთის სხვა და სხვა ქვეყნებში აგრარული სკიოთი სხვა და სხვანაირათ სდგას. ამიტომ თვითეული ქვეყნისათვის ცალკე განსაზღვრული პროგრამის გამოშუშვება ყრილობას არ შეეძლო. ყრილობა დაქმყოფილა საერთო ზოგადი რეზოლუციით, რომელიც მისმართავს აღმოსავლეთის გლეხებს, რომ იბრძოდნ ფეოდალურ მიწათმფლობე-

# აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა

მ ე გ ხ თ ე ხ ს ღ ო მ ა  
5 სექტემბერი.

(გაგრძელება იხილ. „ახ. კომ.“ № 60)

ამხ. პავლოვიჩის მოხსენება.

## ნაციონალური და კოლონიალური კითხვები.

**პავლოვიჩი.** ანხანაგებო, მსოფლიო ისტორიაში ნაციონალურ და კოლონიალურ საკითხებს პოლიტიკა დიდ როლს თამაშობდა; მსოფლიო დიდი სახელმწიფოები ცდილობდნენ დაეპყროთ შავი და უპირველესად ყოვლისა კი—ყვითელი კონტინენტი. ამ სურვილებს განხორციელებაში ერთი მეორეს შეეჯახნენ ამ სახელმწიფოთა ინტერესები. და უკანასკნელი მსოფლიო ომის—ამ სახელმწიფოების ინტერესთა შეჯახების შედეგი იყო. ომის დაწყებამდის მე გაუარჩიე ის კითხვა, თუ რა შინაარსისაა ევროპის სახელმწიფოებს შორის არსებული კოლონიალური კონფლიქტები. ეს კონფლიქტები შემდეგ ფორმულებით გამოვხატე. მე ვამბობდი რომ ეს კონფლიქტები შეიძლება შეედაროს იმ კონფლიქტებს, როგორც არსებობს ასოციაციის (СНХВ) შემდეგ სამ ჯგუფთა შორის:

ბ-ბ ბ. კ-კ კ-და-პ-პ.

გერმანიამ წამოაყენა დიდი, რკინის გზის შემდეგი პროექტი: ბერლინი—ბიზანტიუმი—ბალდათი. ამ გზას ფოლადის ჯაჭვით უნდა გადაება გერმანიის იმპერიისათვის მთელი ოკეანის (ოსმალეთის) იმპერია და უპირველესად კი მცირე აზია. მცირე აზიის საშუალებით გერმანია ცდილობდა გზა გაეხსნა გერმანიის იმპერიალიზმისათვის სპარსეთ ინდოეთ-ვიეტნამისაკენ ესე იგი—შავი და ყვითელი კონტინენტისაკენ. გერმანიის სამხ. „ბ“ (ბანს) ინგლისმა დაუპირდაპირა სამი „კ“ (კანს) ესე იგი: კამუშადტ-ქაირი კალკუტას რკინის გზა, რომელსაც ერთ მთელში გაერთიანებდა მთელი აღმოსავლეთ აზიის და დაწყებული სამხრეთით და გათავებული ჩრდილოეთით, შემდეგ, არაბეთი მესობამია, აღმოსავლეთ სპარსეთი და ინდოეთი. ამ პროექტების საწინააღმდეგეთ რუსეთმა წამოაყენა შემდეგი პროექტი: პეტერბურ-სპარსეთის სრუტე. ყველა ამ პროექტებში ჩვენ ვხედავთ თუ როგორ ებრძვიან ერთი მეორეს მსოფლიო დიდი სახელმწიფოები იმისთვის, რომ გაბატონდნენ აზიასა და აფრიკაში: ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს 1914—1918 წლის მსოფლიო ომი, იმუქრებთან, რომ შეიარაღებულ კონფლიქტს გამოიწვივენ გუშინდელ მოკავშირეებს შორის, როგორც მავალითად: ამერიკასა და იაპონიას შორის, ამერიკასა და ინგლის შორის, და ბოლოს ინგლისსა და საფრანგეთს შორის.

კლემანსოს სამინისტროდან გასვლის დროს სენატი მომხდარ დებატებს აქვეყნებს საფრანგეთის პრესა. ამ გამოქვეყნებულ დებატებშიდან ნათლად სჩანს, რომ სამთა კავშირის წინააღმდეგ ომის დროს, ყველაზე უფრო კრიტიკულ მომენტში; მცირე აზიის დაყოფის საკითხში ინგლისსა და საფრანგეთს შორის იყენ გამოვლადრათ ერთი მეორისათვის ყელი. აგრეთვე ამ დებატებიდან სჩანს, რომ კლემანსო იმან აძიულა დეტრეველინა თავისი პოსტი, რომ სირიის საკითხის გამო ძლიერ გამოვიდა მდგომარეობა ინგლისსა და საფრანგეთს შორის. დამოკიდებულება საფრანგეთსა და ინგლისს შორის ეხლაც ძლიერ განწევებულია.

რომ საბჭოთა რუსეთის და ბალკანეთის არ ეშინოდეთ 1914—1918 წლების მსოფლიო ომი, პირველ ბალკანეთის ომისათვის დიდი ხანია გადაიქცეოდა სამკვდრო სასიცოცხლო ომით გამოარჯებულ სახელმწიფოებს შორის. საფრანგეთსა და ინგლისის შორის, ინგლისსა და ამერიკის შორის, ამერიკასა და იაპონიას შორის შეიარაღებული კონფლიქტის შესაძლებლობა კიდევ არ მოსპობილა, რადგან მთელი ხალხების ბედ იღბალი ჯერ კიდევ შურუყუანის ხელთაა. შორეულ აღმოსავლეთზე გვეგონის (ბატონობის) საკითხის გამო ერთი მეორის წინააღმდეგ მიტოვების არიან შეიარაღებული ამერიკა და იაპონია. ამერიკა ნერვიული ისწურავით აძლიერებს თავის საზღვაო სიმხედრო ძალებს. მისი სურვილია 1925

წ-დი ეყოლოს მას ისეთი ძლიერი ფლოტი, როგორც ყავს ზღვათა მეფე-ინგლისს. ამით ამერიკის სურს ზღვაზე პირველობა, გვეგონია წართვის ინგლისს და გააძლიეროს ჩრდილოეთ ამერიკის შტატების გავლენა აღმოსავლეთზე. ინგლისი ყოველივე ზომებს ხმარობს იმის წინააღმდეგ, რომ გაძლიერდეს ინგლისის საფრანგეთი. ამიტომ ინგლისი ნებას არ იძლევა, რომ საფრანგეთმა თავის ფლოტს მიუშალოს გერმანიის წარამეული წყალქვეშა ნავები. ინგლისი მტრად იქცევა ასე, რომ შეიარაღებულ კონფლიქტის დროს საფრანგეთს, რომელსაც მხელთაშუა ზღვაში ძლიერ გარე სანაოსნო ბაზები აქვს, შეუძლია თუ სულ არა, ძლიერ მიანკ შეუფერხოს ინგლისს ამ ზღვაზე მამოსვლის საქმე. საფრანგეთს შეუძლია ინგლისი მოსწყვიტოს ევგობტეს, მცირე აზიას, სპარსეთის ყურეს, ინდოეთს, ერთი სიტყვით, მთელს აღმოსავლეთს.

## საბჭოთა რუსეთი და იმპერიალისტური სახელმწიფოების მტაცებლური მიზნები აღმოსავლეთში.

კოლონიალური საკითხი, საკითხი აზიის დაყოფის შესახებ, ერთადერთი მამოძრავებელი ძალაა იმ მკაცრ ომისათვის, რომელსაც ოქტომბრის გადატრიალების პირველ დღიდანვე აწარმოებენ კაპიტალისტური ქვეყანა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. საბჭოთა რუსეთი დღე-ღამე საფრთხის წარმოდგენს კაპიტალისტურ ქვეყნისათვის. ის მიიჯიან, გზის მიყენებელი ვარსკვლავია, ის მოუხმობს ყველა მხნე-გულად მებრძოლებს ახალი წესწყობილებისათვის საბრძოლველად. საბჭოთა რუსეთში მრავალ მილონი მცხოვრებია. ის ძლიერი თავისი ბუნებრივი სიმდიდრით და აგრეთვე ის წყაროა ყოველგვარი ნედლე მასალის. ამ ქვეყანას, როგორც ეს მეფეების დროს იყო, არ სურს იყვის ინგლის-საფრანგეთ-ბელგის კაპიტალის ნახებარ კოლონიით. საბჭოთა რუსეთი—სწორედ იმპერიალიზმისათვის შრისხანების ქვეყანა ის განთავისუფლდა უცხოეთის მონობისაგან. ის თავისი მავალითით მოუხმობს დაჩაგრულ აღმოსავლეთს თავისუფლების მოსაპოვებლად ბრძოლისათვის. ის თავისი შინაური პოლიტიკით, სხვა ერთგვებებით დამოკიდებულების საკითხში, ხელს უწყობს აღმოსავლეთის ხალხს ნაციონალურ თვითგამორკვევის შეგნების გაღვივებას და განვითარებას; საბჭოთა რუსეთი ძლიერ დიდ საფრთხეს წარმოადგენს კაპიტალისტურ ქვეყნისათვის არა მარტო ამ მხრივ, არამედ ის ამასთან ერთად, რეალურ დახმარებას უწყებს რუსეთის საზღვრების გარეშე მცხოვრებ ჩამორჩენილ და დაჩაგრულ ხალხებს საერთაშორისო მტაცებლურ კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში. (ტაში).

ერთ-ერთ უპარტიო ამხანაგმა თავისი ღრმა სიყვარულის გრძნობა გამოთქვა კომუნისტურ პარტიის ბელადების ამხ. ლენინის, ზინოვიევის და ტროცკის მიმართ, მან ხაზ გასმით აღნიშნა ის ფაქტი, თუ რა უსაზღვრო ნდობით არიან აღტურვილი საბჭოთა მთავრობის ეს უმალესი წარმომადგენლები და ხელმძღვანელები—ყველა იმ ერთგვებების მხრივ, რომლებიც დასახლებულია რუსეთში, იმ უპარტიო ამხანაგმა მწუხარებით აღნიშნა ის, რომ კომუნისტურ პარტიის ზოგი წარმომადგენლები, რომელთაც ცრუ კომუნისტები უწოდებ, განაპირავ იდგენენ არ იქცევიან ისე, როგორც სწავიან, რითაც სახელს უტევენ საბჭოთა მთავრობას და ადგილობრივ მცხოვრებებს კი თავის მოქმედებით თვით საბჭოთა მთავრობის იდეის საწინააღმდეგო აზრებს უბადებენ თავში. ჩვენ ეს ვიცით. ყველაფერი ეს შესაძლებელია, როგორც მცირე კიდევ, აუცილებელია. უფრო მეტი გრანდოზული, ისტორიულ მოვლენების გარეგნებასა და ქარიშხალში იმსხვრევა ის წესწყობილება, რომელმაც იარსება მთელი ათასი წლები, როდესაც საქმე ეხება ისეთი ინსტიტუტის განადგურება-მოსპობას, როგორც არის კაპიტალისტური საკუთრება, რომელმაც სოციალიზმის ნიადაგი, მთელი საუკუნოებს განმავლობაში ღრმად გაიღვა ფესვები, ზუნებრივია, რომ ამგვარი, ასე ვთქვათ „გოლოგოფი“

გადატრიალება, ეს, ცხოვრების ახალ საფეხლებზე გადასვლა არ შეიძლება მოხდეს უმტკივნეულოთ, ზოგიერთ აუცილებელ დამახინჯება გარდახვევის თავიდან აცილებათ, რომელთაც მხოლოდ დროებითი, გარდამავალი ხასიათი აქვს. მაგრამ საქმე საბჭოთა მთავრობის და კომუნისტურ პარტიის ამათუ იმ უდიდეს წარმომადგენლების კერძო ბოროტმოქმედებაში კი არ არის, არამედ საქმე საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის საერთო ხაზში, ძირითად ტენდენციებშია, რომლითაც საბჭოთა მთავრობა ხელმძღვანელობს ყოფილ მეფეს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნებებთან დამოკიდებულების საკითხში. კაპიტალისტურმა ქვეყანამ ძლიერ კარგათ იცხად თუ რაში მდგომარეობს საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის ეს ტენდენციები მეფის მთავრობის და კაპიტალისტურ ქვეყნების მიერ დაჩაგრულ ეროვნებების დამოკიდებულების საკითხში. და ამიტომაც რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოებმა გარკვეულ იციან ჩვენი პოლიტიკა იმათ—მათ მიერ გაყვლილ ხალხებზე ბატონობის შესანარჩუნებლათ, სამკდრო სასიცოცხლო ომი გამოუცხადეს საბჭოთა რუსეთს (ტაში).

ვისთვის არ არის ნათელი ეს განსხვავება, რომელიც არსებობს ჩვენს მუშა და გლეხების სოციალისტურ ფედერაციასა და ყაჩაღურ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის. ინგლისის „თავისუფალ“ კონსტიტუციას“ მონობის ულელში ყავს და აღჩნობს 300 მილიონამდე ინდოეთს, რომელიც დიდი ხანია იკვნის ბრიტანეთის მონობის ქვეშ. რესპუბლიკანური საფრანგეთი მხეჯრათ აღჩნობს ყველა თავის კოლონიებში: მაროკოში, ალჟირში და ინდოეთში ხალხების თავისუფლებისადმი და ნაციონალურ თვითგამორკვევისადმი თუნდაც მცირედ ღტოლვისაც. ატლანტიის ოკეანეს იქეთა მხარის დიდი რესპუბლიკა, შვეიცარული შტატები (ამერიკა) ეხლაც უარყოფს კუბის და ფილიპინის დამოუკიდებლობის ცნობას, რომლებს, ვითომდა „განათავისუფლებული“ დიიქყო მან 1898 წელს ომი სპანისთან. იმ დროს, როდესაც ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში სპობენ და აღჩნობენ ყოველივე ნაციონალურ თვითგამორკვევისადმი ღტოლვის, ამ დროს რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკის შემთავა და გლეხთა მასებში დიდის სიხარულით ესალმებიან ყოფილ მეფის რუსეთის ტერიტორიაზე დაარსებულ ავტონომიურ რესპუბლიკებს, როგორც არიან მავალითად: ბაშკირეთის საბჭოთა რესპუბლიკა, თათრეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა და სხვები. ყველა, ვთვითუცხდით, კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, როგორც წერილში, ისე მსხველში, საფრანგეთში, ინგლისში, იაპონიაში, ამერიკაში, გოლანდიაში, ბელგიაში, პოლონეთში და სხვაგან ჩვენ ვხედავთ უფრო ძალდატანებას ყველა ნაციონალურ უმცირესობებზე, ზოგ შემთხვევებში ჩვენ ვხედავთ რომ ასეულ მილიონობით ხალხები სრულ მონებთა, „ხოლოებთა“ არიან გადატყველნი. ჩვენ ვხედავთ, რომ უფრო ორგანიზაციულად შეგვირგებლები, უფრო „განათლებლები“ უმცირესობის დაუპყრია მრავალ მილიონიანი ხალხები. ამის მაგალითია: დაპყრობილი 300 მილიონიანი ინდოეთი და მათზე გაბატონებული, კბლენამდის შეიარაღებული, კაპიტალისტური ინგლისი. კაპიტალისტურ ქვეყნებში, ერთ პოლიუსზე—ჩვენ ვხედავთ, რომ მცხოვრებ სტანჯავენ ნაციონალურ უმცირესობებს და ზოგჯერ ნაციონალურ უმრავლესობებსაც იქ, სადაც ქვეყნის მართვა გამგების საქმე ხელში ჩაუვდება ნაციონალურ უმცირესობას. ქვეყნის მეორე პოლიუსზე—საბჭოების რესპუბლიკაში ჩვენ ვხედავთ თუ როგორი სიფრთხილათ და ძვირი ცონობებით ტყუობიან არა მარტო ცოტათ თუ ბევრათ მსხვილ, არამედ ძლიერ მცირე რიცხოვან ნაციონალურ ერთეულებსაც.

ლათ სცნო თავისი თავი მიეცა ავსტრია გერმანიისათვის 75 მილ. ფ. პური 11 მილ. ცოცხალი ოთხეხი საჭონელი და სხვა. მეორე, უკრაინის სახალხო რესპუბლიკის დროს უკრაინა, იმ ხელშეკრულების თანახმად, რომელზედაც საფრანგეთის გენერალ დანსელმ აღესაშა ხელი მოუწერა გამოცხადებულ პეტლიურამ, ვადიქცა საფრანგეთის კვაბიტალისტების კოლონიალიზმისათვის მთელი უკრაინისა და მთელი თითქმის უკრაინის ყველა რკინის გზები, ფინანსური და სამხედრო წარმოებები უნდა გადასულიყო საფრანგეთის ბირჟე-ვიკების ხელში.

უკრაინის მესამე სახალხო რესპუბლიკა, რომლის შესახებ დაპირებებს იძლეოდა იგივე პეტლიურა, მხოლოდ შირმა იყო, რომ უკრაინაში გაბატონებულიყო პოლონურ შლიახტის საზოგადოარი შავი მთავრობა. მთელი უკრაინა ლადებდა პეტლიურის ამ უკანასკნელ ახალ მოლოატურ აქტის წინააღმდეგ. ეს ისტორია არის გმირული მოქმედების ისტორია და აგრეთვე უკრაინის გლეხობის და უკრაინის „ბიდილის“ პოლონურ შლიახტისათვის მრავალ საუკუნეების ბრძოლის დროს დამარცხების ისტორია. წინააღმდეგ, შლიახტის პოლონეთის ისტორია იყო—უკრაინის ხალხის დასაპყრობ მიზნებისთვის წარმოებული ომების ისტორია. უკრაინის ლიტერატურა, შეგჩენკოს უკვდავი ლიტერატურული ნაწარმონი, უკრაინის ხალხური პოეზია ნათლად გამოხატევენ უკრაინის ხალხის მრავალ წამებულ ისტორიის ამ მხარეს. უკრაინის ხალხის განვითარება მიმდინარეობდა პოლონურ პანების წინააღმდეგ სისხლის მღვრელ ომებში. ყახახე მის ყველა აჯანყებები, ზაპოროჟელ სეჩის მთელი ბრძოლები, აგრეთვე ბოვლიან სწენლიცკის ბრძოლა-არსებათად იყო უკრაინელ გლეხების ბრძოლა პოლონურ მემამულეების წინააღმდეგ მიმართული.

ეს ბრძოლა მიმართული იყო პოლონოზატორების (პოლიაკოვილები) წინააღმდეგ, რომლებიც დიდი მტრები იყვნენ უკრაინულ ენის, უკრაინულ კულტურის და პეტლიურასაც, როგორც დაჭირებულ ბანდიტს, რომელიც ყველას მიეცილება, ვინც კი მტეს სასყიდელს მისცემს მას თავის სისხლით შეღებულ სამსახურისათვის, სურდა მიეცა პოლონურ ენისათვის, საზოგადო პოლონოზატორებისათვის უკრაინის მსწა, უკრაინული ენა, მთელი უკრაინული კულტურა. პეტლიურის სურდა ყველაფერი ეს მიეცა იმ პოლონურ ენადარმისათვის, რომლებიც, მავალითად, კეტავენ ბელორუსის სკოლებს და პოლონურ ენას სახელმწიფო ენად აცხადებენ ისეთ ოლქებშიაც კი, სადაც პოლონელი მცხოვრებლები უმნიშვნელო პროცენტს შეადგენენ. პოლონურ შლიახტს, პოლონურ „კულტურისებს“ უკვე ეხლაც სურთ პოლონურად მონათლონ ბელორუსია, ვოლინა, პოლონია. ამასვე უპირებენ უკრაინის ყველა იმ ოლქებს, რომლებსაც კი დააყრობენ.

ათეულს და ასეულს პატიოსან უკრაინელებს მართლაცდა სწყურიათ უკრაინის ნაციონალური და კულტურული აღორძინება. ისინი, როგორც უკრაინული ნაციონალური საზოგადოებრივობის მტეები: გრუშევსკაი და ვინინჩენკო, დარწმუნდნენ, რომ ეხლანდელ დროში მხოლოდ საბჭოთა მთავრობას შეუძლია ერთხელ და სამუდამოთ განათავისუფლოს უკრაინა ყოველგვარ ჩავკრისგან. 27 მაისს ს. რ. ც. ა. პრესიდენტმა დაამტკიცა ავტონომიურ საფუძველზე მთავრის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის არსებობა, რომლის ცენტრია ქ. ყახანი. ამ ცნობას აღტაცებით მიეგება მთელი მუსულმანური ქვეყანა: სპარსეთი, ავგანისტანი, ოსმალეთი და ინდოეთი. ამ განცხადებამ ნათლად დაანახა ჩვენს ხუსულმან ამხანაგებს, აღმოსავლეთის მუშებს და გლეხებს ის დიადი პრინციპები, რომლებიც საფუძველად უდევს სრულიად რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკის ნაციონალურ პოლიტიკას. ეს კი არ მოსწონთ კაპიტალისტურ მთავრობებს. (ამხ. პავლოვიჩის მოხსენების გაგრძელება იქნება).



# გიულაშენი პრესბიუროსი

რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობის საქართველოში.

## გლეხებმა მემამულეების მიწები დაინაწილეს.

რევოლი, 25 სექტემბერი. „ბერლინელ-რევოლი“ ინტერვიუებდა მემამულეების დიდი ნაწილი პალერმოში შეიარაღებულმა გლეხებმა დაიჭირეს. შეტაკებები არსად მოხდარა, ვინაიდან მემამულეებს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

## ინჟინერების ხოლიდარობა მუშებთან.

რევოლი, 25 სექტემბერი. რომში ინჟინერების კავშირმა მიიღო რევოლიუციური კამპანია, რომელიც ყველა ქარხნების ინჟინერებს მოუწოდებს გაფიცულ მუშებს მხარი დაუჭირონ. სოციალისტების ჯგუფის წინააღმდეგა—მოიწვიონ პარლამენტი, არ იქნა მიღებული.

## ახალგაზრდათა მოძრაობა

მოსკოვი, 1 ოქტომბერი. მიღებულ ცნობებით, იტალიის ახალგაზრდა სოციალისტების კავშირის წევრების რიცხვი წარმოუდგენელი სისწრაფით იზრდება. ახალგაზრდათა საერთაშორისო კრილონის დროს პარტიამ ირიცხებინა 100 სექცია 35,000 წევრით: 1920 წლის დასაწყისში კი მასში ირიცხებოდა 40,000 წევრი.

## ინგლისის პრესა პოლონეთის ომზე.

ლონდონი, 30 სექტემბერი. ივლისის ყველა გაზეთები აღიარებენ, რომ რუსეთსა და პოლონეთს შორის ზავი მაშინ მოხდება, „დეილ მილი“ ხაზგასმით ამბობს, რომ პოლონეთისთვის სახარალოა შეტევის გაგრძელება.

## ბოსნიების გაშენება.

ბაქო, 1 ოქტომბერი. კომუნალურ მეურნეობის განყოფილება სასაფლაოების ხელის ბოსნიებს აშენებს. ამ ბოსნიებიდან მწვანის საზოგადო სასაფლაოსს მიიწოდებენ.

## რა სიმდიდრეა ციმბირში.

მოსკოვი, 1 ოქტომბერი. კოლჩაკის მომარაგების სამინისტროს ცნობით ციმბირში 1918—1919 წლებში ზედმეტი პური უდრდა 77 მილიონ ფუტს. 1919—1920 წლებში ზედმეტი პური უდრდა 72 მილიონ ფუტს. ამნაირათ, ამჟამათ—1920 წელს ციმბირში 150 მილიონი ზედმეტი პურია.

## ოქტომბრის რევოლუციის მესამე წლის თავი.

მოსკოვი, 5 ოქტომბერი. კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ აღმასრულებელმა კომიტეტმა ოქტომბრის რევოლუციის სამი წლის აღსანიშნავათ დაადგინა შემდეგი: მოწყობის მასიური რეგებები საბჭოთა საიდუმლოებლო მუშაობის შედეგების აღსანიშნავათ, მოეწონს ავტოცია და ასხა ჩვენი საზინაო და საერთაშორისო პოლიტიკის უახლოესი ამოცანების; ავსხსნას ხალხს ბრძოლის გაგრძელების აუცილებლობა შინაურ და გარეშე კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, ავტოციათა ძირითად მოთხოვნებს უნდა შეადგენდეს: 1) ომი გრაგლის წინააღმდეგ, 2) საერთაშორისო დახმარება წითელ არმიას; ეს დახმარება უნდა გამოხატოს შრომის ნაყოფიერების ზრდაში, წითელ არმიელებისათვის თვითი ტანისამოსების მოკრეფა და სხვ., 3) აუცილებელი მხარის დახმარება საბჭოთა მთავრობას მის სასურსათო პოლიტიკაში.

## ავტოციის სიმძიმის ცენტრი სოფლებს უნდა იქნეს მიმართული.

ავტოციის ნაყოფიერების მიზნით და ხარჯების შესამცირებლათ ც. კ. დაადგინა: არ მოეწყოს „სუბბონიკები“, ათავითარა ზეინობა, დემონსტრაციები და ქუჩების მორთვა არ გაიმართოს და აუცილებელი არ იქნას წითელი ფართალი და დახარჯოს.

## ბოიკოტი პოლონეთის.

რევოლი, 25 სექტემბერი. პრაგადან იუნიონის: პროფესიონალური კავშირების სოციალისტურ ჯგუფებმა მიიღეს რა დამდევლობა, რომ პოლონეთის წინააღმდეგ გამოცხადებულია ინტერნაციონალური ბოიკოტი, რკინის გზებზე ყველა ეროვნულ კავშირებს და აგრეთვე პოლონეთის საერთაშორისო კავშირს იწინააღმდეგებენ.

## ვევს პრაგაში ყრილობაზე, სადაც იქნება მსჯელობა პოლონეთის წინააღმდეგ ბოიკოტის გატარების შესახებ.

## ეროვნული ყრილობა.

რევოლი, 27 სექტემბერი ინდოეთის ეროვნულ ყრილობაზე კალკუტაში, სადაც გამოცხადდა 5 ათასი დღეგატი-ყრილობის თავმჯდომარე მქუხარე სიტყვით გამოვიდა; იგი მოითხოვდა ინდოეთის დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ აღიარებას იმავ საფუძველებზე, როგორც ეგვიპტე იქნება ცნობილი. ამას გარდა იგი მოითხოვდა ინდოეთიდან ვიცე-კაროლის დაუყოვნებლივ გასვლას.

## იაპონიის მთავრობის დეკლარაცია ციმბირის შესახებ.

რევოლი, 27 სექტემბერი. პარლამენტის გახსნის დღეს მთავრობამ ციმბირის შესახებ დეკლარაცია გამოაქვეყნა. სახალისის ჩრდილოეთი ნაწილი, აგრეთვე ნავთსადგური დეკლარირებულია სიციმის ყურე, რომლებსაც იაპონიასთვის დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს უნდა იაპონიის ჯარებმა დაიკავოს.

## მუშათა ბათალიონი.

იდეა, 26 სექტ. ყველა მარტებში უმუშევართა მობოლიზაცია მუშათა ბათალიონების მოსაწყობათ. რკინის გზაზე სამუშაოთ გაგზავნეს 300 კაცისაგან შემდგარი ბათალიონი.

## ჭაბუკთა სახახლე.

ურალსკი, 30 სექტ. ურალსკში გახსნეს „ჭაბუკთა სახახლე“. სახახლეში მოწყობილია სხვა და სხვა წრეები და სტუდიები.

## მობილიზაცია გონიაში (?).

კონსტანტინოპოლი, 28 სექტ. მუსტაფა ქემალმა გონიაში ეგვიპტაში და სხვა ადგილებში მცხოვრებლებს მოუწოდა მის ჯარებში ჩაერთობა და აგრეთვე დაეხმარონ ფულებით. მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს გაგზავნონ სამხედრო სამსახურში 1889—1899 წლებში დაბადებულნი. მოკრიფეს 150 ათასის ლირებული ოქრო.

## ქემალის მოქმედება.

კონსტანტინოპოლი, 28 სექტემბერი. „უოგორდი დანი“ სწერს: „ქემალმა ქემალი ბილეჯიქის მიდამოებს ამარტებს გატოვებული მუშაობა აფიონ—კარაგისარის ფრონტზე. ქემალისტების მიზანია—საბერძნეთის ძალები აქედან გადარეკონ და უფრო ვიწრო ხეობებში შეიჭრენ გადამწყვეტი ბრძოლისთვის.

## დაწერილობითი ცნობები იტალიაში მომხდარი ამბების შესახებ.

მოსკოვი, 30 სექტემბერი. „დეილი გორილი“ იუწყება იტალიაში მეტა-ლისტების მოძრაობის შესახებ შემდეგს. მეტალურგიურ ქარხნების პარტონებმა მუშებს ლოკაუტი გამოუცხადეს. პირველათ რომეის ფრონტე დაიკეტა (მელანში). დილას, როდესაც მუშები სამუშაოთ მივიდნენ, კარები დაკეტული დახვდათ და ქარხნების შიგნით და გარეთ პოლიცია იდგა. მუშებმა მოინდომეს ძალით შესვლა ქარხნებში, მაგრამ პოლიციის შეიარაღებულმა წინააღმდეგობამ იძულებულყო ისინი უკან დაეხიათ. მომხდარი ამბავი ელვის სისწრაფით მოეცა ქალაქს. შრომის კამერამ გადაწყვიტა თავის ხელში აიღოს ქარხნები. 300 სალითონო ქარხანა მიიღნენ მშვენიერად და წესიერათ დაიკავეს მუშებმა. მეტალურგებმა ქალაქის პრეფექტს მამართეს, უკანასკნელმა თავის მხრივ ინტერუქციებისთვის რომს მიმართა. მუშათა კომიტეტებმა, დაიკავეს რა ქარხნები, განათავისუფლეს მუშები და ინტერუქციები, რომლებიც შეეცდებოდნენ დატოვებულნი.

## პროლეტარიატის ბლოკადა.

მოსკოვი, 20 სექტემბერი. შვეიცარიის რკინისგზებზე მთავრობას მოთხოვნილება წარუდგინეს რომ მოაწყონ კომისია მუშების მონაწილეობით. კომისიის მიზანია იქნება კანტონის გაწვევა იმ საერთაშორისო მატარებლებს, რომლებიც პოლონეთში იგზავნება. რაც შეეხება ბაიკალის ტრაოლქს, იქედან კი იაპონიის ჯარები გაყვანილი იქნება და არავითარ აქტიურ პოლიტიკაში იაპონელები არ აწარმოებენ. რომ ხალ-

ხრეფთაფს ამხსნაგება. „ახ. კომუნისტი“ გამოდის „ბრძოლის“ მაგარ. ის მუშების და გლეხების გასათავის; იგი რაგორც „ბრძოლა“, ისე „ახ. კომუნისტი“ დაიცავს მთელი მშრომელი მასისი ყველა დასაზრულთა და შევიწროებულთა ინტერესებს. აშკარაა, რომ თავისი ორგანოთა თვით მუშებმა და გლეხებმა უნდა ასაზრდოონ, თვით მუშებმა და გლეხებმა უნდა მისცენ მას არსებობის საშუალება.

ამხსნაგება მუშებმა და გლეხებმა დემოკრატიული თქვენი ასრუბათ ინტერესების და მრევლ გასათავის „ახ. კომუნისტი“ ნიუი-იორკი და სხვაობრავი დასაზრება. მიადეთ ვოკალგარი ზომები მის გასაზრებლად ფართო მასსაში გამართეთ ხელის მოწერა მას სასარგებლოთ. ამით თქვენ უსრუხეფეთ თვის ასრუბათს.

## საქართველო კომუნისტი ორგანიზაციების დროებ. ცენტრალური კომიტეტი.

შვეიცურთა ზეგაღწევა არ გაგრძელდეს კორეაში, ამიტომ მას დიკავებენ. აგრეთვე იკავებენ კანტონის უფლებებს რკინის გზებზე ხარბინ ვლადივოსტოკის და ხარბინ-პორტ-არტურისაზე.

## საზღვარ-გარეთელთა რეგისტრაცია

კავკავი, 30 სექტ. პირველ ოქტომბრიდან თერგის ოლქში საგანგებო კომისია შეუდგება შვეიცის, ნორვეგიის, დანიის, პოლანდის, ბელგიის და სხვა რანგეთის მოქალაქეთა აღწერას, რომლებსაც სამშობლოში წასვლა სურთ.

## ესტონიის კრიტიკული მდგომარეობა.

რევოლი, 20 სექტ. ესტონიის დამუშავებულ კრებაში მინისტრ ტენისონმა განაცხადა, რომ ქვეყნის მდგომარეობა კრიტიკულია.

კომუნისტების მიერ მოწყობილი გაფიცვები აღარ სწყდება, პირიქით იზრდება. კომუნისტების ლიდერები განთავისუფლებული არიან და გაცხარებულ მუშაობას აწარმოებენ.

## კომუნისტები ტრაპიზონში.

ჩვენი ბათუმის კორესპონდენტი სასწრაფოთ იტყობინება: საღამოს, 30 სექტემბერს, ბათუმში მოვიდა შენდვი ცნობა: ტრაპიზონში შემოვიდა ქემალისტების რაზმი, რომელმაც ტრაპიზონის გარნიზონი გარეკა.

ბათუმიდან ტრაპიზონში გაემგზავრა შავი ზღვის ესკადრონის ერთი საუქეთესო ნაღმოსანი.

## მორიგი „სუბბონიკი“.

ბაქო, 25 სექტ. 16 სექტემბერს „სუბბონიკი“ მონაწილეობა მიიღო 22,000 კაცმა. მუშაობა იყო 144 ალგს.

## ანატოლიაში ქემალისტების სამხედრო ოპერაციების შესახებ ოფიციალური ცნობა.

სამსხუნი, 15 სექტემბერი. ანატოლიის დეპუტათა სააგენტო 11 სექტემბრიდან: სამხედრო მოქმედება ყველა ფრონტზე დაიწყო.

ჩვენი ჯარები უშავის აღმოსავლეთით უწყვეტ დგანან. მოწინააღმდეგე ბაქო ჩიკის რაიონში შეტევაზე გადმოვიდა, მაგრამ დიდი მარცხით ჩვენ მიერ უკუქვეულ იქმნენ; ჩვენ ხელში ჩაგვავარდა ბევრი სამხედრო მასალა.

ამ რაიონის სხვა ფრონტზე სიწყნარა. ადანიის ფრონტზე მოწინააღმდეგე უშვედგოთ სროლა აუტეხა რამოდენიმე საფელს. ოსმანის რაიონში მოწინააღმდეგე თავს დაგვეხსნა, მაგრამ უკუეკციეთა. ჩვენმა ნაწილებმა გააბნია სომხების 100 კაცისგან შემდგარა რაზმი დაბა ლორტელის მახლობლათ, წამოიღო იარაღები და ტყვიის მჭკვევლები. ხანდერის ახლო შეტაკებებში მოწინააღმდეგე ბრძოლის ველზე 14 გვედარი დატოვა. მოწინააღმდეგის ჯარების ნაწილი, რომელსაც უნდოდა ალყა შემოარტყმულიყვისათვის დახმარება, ხელში ჩაივარდა ჩვენს ჩააფრებულ ნაწილებს და დიდი მარცხის შემდეგ მხოლოდ მათი მცირე ნაწილი გადარჩა ალყაშემორტყმულ ქალაქში თავშეფარებით.

## თეთრი ტერორი რუმინიაში.

მოსკოვი, 7 აქტ. ბუხარესტში გაიმართა მიტინგები მუშა-კომუნისტების მიხედვით რუმინების წინააღმდეგ. მიტინგებს დაესწრო ათი ათასობით ხალხი. ორატორები თავის სიტყვებში აღნიშნავენ იმ წარმოუდგენელ წამებას, რომელსაც დატუსაღებულ კომუნისტები განიცდიან: პატიმართ კბილებს თხრიან, აწამებენ და წინდაწინ შედგენილ „ჩვენებაზე“ აწერინებენ ხელს. მიტინგებზე გამოქონდათ რევოლუციური, სადაც მოითხოვენ საბჭოთა რუსეთთან სოლიდარობას, სამხედრო-საველე სასამართლოების მოხსნას.

## უპანასენალი ცნობები

7 ოქტომბერი. სამხ. ოპერატ. რადიო-ცნობა რესპუბლიკის „რევოლუციონის“ საველე შტაბისა.

## სინელიკოვის აღება

მოსკოვი, 7 ოქტომბერი. შეტევაზე გადასულ ჩვენმა ნაწილებმა სწრაფი თავდასხმით სად. სინელიკოვი აიღეს. თავზარ დაცემული მოწინააღმდეგე უკან იხიეს.

## წითელი კაზაკები

მოსკოვი, 7 ოქტ. მეშკოვის სტანიცის ყუხაზე გადასწყვიტეს იარაღით ხელში დაიციონ საბჭოთა რუსეთი.

## გაფიცვები ლიბავაში

მოსკოვი, 7 ოქტ. ლიბავის ნავთსადგურების მუშები მივიღო თვე გაფიცული არიან.

## არეულობა ირლანდიაში

მოსკოვი, 7 ოქტ. ირლანდიაში არეულობა და ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლები გრძელდება. ბევრ ადგილას რკინის გზები აპყარს.

## სტარკის სიტყვა

6 ოქტომბერს 1920 წელს დაწინაყელების მიერ მოწყობილი სამხედრო დემონსტრაციის შეკითხვის გამო.

„ოქვენ გინდათ გაითეთ ჩვენი განწყობილება ამ ყმათ სომხეთში მომხდარ ამბების გამო. განაუსუბეთ:

რუსეთის მუშათა და გლეხთა რესპუბლიკა თავის არსებობის პირველ დღიდან აშკარათ და გადაჭრით აღიარებს ყველა ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლებას დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნადში.

ეს უფლება ჩვენი რესპუბლიკის და მის მესვეურ კომუნისტურ პარტიის მიერ ნაღიარებია არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. ჩვენ ვიცანით დამოუკიდებლობა ესტონიის, ლატვიის, ლიტივის, ფინლანდიის და პოლონეთის. აქ აღმო-სავლეთში ჩვენ ვიცანით საქართველოს დამოუკიდებლობა, ვიცანით და ვიცნობთ სომხეთის დამოუკიდებლობას, თუკი ამას მოითხოვს სომხეთის მშრომელი ხალხი.

ჩვენი პოლიტიკა თავდაპირველიდან მშვედობიანობის პოლიტიკა იყო. ესეც მრავლგვარ დავამტკიცეთ. მაგრამ მიუხედავათ ამისა, თუ ჩვენ სამი წელიწადი გვიხდებდა მრავალ ფრონტზე ჩვენთვის ძვირფას მუშების და გლეხების სისხლს ღვრა, ამაში ჩვენ ბრალი არ გვიდევს. ამ სისხლისთვის ბრალი მათ ედებათ, ვინც არ გვაძლევს ჩვენს მიწაზე მშვედობიან ცხოვრების საშუალებას, რათა შევექმნათ უმუშევრების, ახალი ცხოვრება. ამ სისხლში აქეთ ხელეუბ გასერილი ანტანტის კაპიტალისტებს, რომლებიც ლოიდ-ჯორჯის, მილიერანის, პილსუდესკის, ვანგელის და სხვა ყაჩაღების ზურგს უკან ამ აფარებულან.

მუშურ გლეხური რუსეთი, არის ერთი დამცველი ყველა მუშების და გლეხების, იმპერიალისტების და აგრულ მცირე ერების და აქ აღმოსავლეთში, ჩვენ დავისახეთ მიზნათ ანტანტის ბატონობისგან აღმოსავლეთის ხალხთა განთავისუფლება. ჩვენთვის სომხეთის მშრომელი ხალხის ინტერესებიც ისე ძვირფასია, როგორც ინდოეთის, სპარსეთის, ოსმალეთის და სხვების მარამ სომხეთის მმართველი პარტია, დაწინაყეუ-ტუნი, აპჯობინებს იმპერიალისტებს

მხარეზე ყოფნას, და მით სომხეთს ქმნიან ანტანტის რეპუბლიკურ პოლიტიკის იარაღათ.

სომხეთის ხალხმა, დაოლოს, უნდა აირჩიოს, უნდა სიტყვას, სურს თუ არა მას რუსეთის და სხვა ქვეყნების რევოლუციონერ მუშებთან და გლეხებთან ერთათ სიარული, თუ ისევ ანტანტის ხელში იარაღათ დარჩენა სურს—პოლონეთსავით.

ჩვენ გვინდა მშვედობიანობა და არა ომი. კიდევ ორი თვის წინეთ ჩვენი მთავრობამ მიმართა სომხეთს და ოსმალეთს წინადაცხობით, რომ მისი შუამდგომლობით ყველა სადავო საკითხები მოეწყურებებოთ. ოსმალეთის მთავრობამ მშინვე განაცხადა თანხმობა, ხოლო სომხეთის მთავრობიდან დღემდის პასუხი არ მიგვიღია.

და თუ სომხეთის მთავრობას ნამდვილოთ სურს მშვედობიანობა, მას ყოველთვის შეუძლია მიიღოს ჩვენი შუამდგომლობა და მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მთავრობა ახლაც ისე შეეცდება მშვედობიანობის დამყარებას, როგორც ორი თვის წინეთ.

აი ჩემი პასუხი.

## სახალსო გეურნოება საბჭოთა რუსეთში

### მაულის ფაბრიკების ამუშავება

მაულის მიქალკოვსკის ფაბრიკა ყოფილი იოკოში, მოსკოვის ახლოს, რომელშიც საუკეთესო სუფთა მაუდი მზადდებოდა და რომელსაც ჰქონდა 12 საქსოვი ჩანქანა, 7,140 თითისტარი, 133 საქსოვი დაზვა, სათბობი მასალის უქონლობის გამო დაწყებული 1919 წლიდან დღემდის უქმნა იდგა. „ლატ-ექსტილის“ მალეულობის განყოფილებამ ახლა იგი ისევ ამუშავა. იგი მუშაობს 5 ავვისტოდან. 9 ავვისტოდან ფაბრიკა მუშაობს, მისა ტენიკური მოწყობილების 85 პროც. ამოძრავებულია. ფაბრიკა 6 თვით უზრუნველყოფილია სათბობი მასალათ.

ნელდი მასალა ერთი წლის საყოფია. ამას გარდა მუშაობს მთელი თავისი ტენიკური მოწყობილების 90 პროცენტ. ამოძრავებით, მაულის ფაბრიკა პოსად კლინცში (გომელის გუბერნიაში), რომელიც სათაობ მასალის და ნელდი მასალის უქონლობის გამო 1919 წლის შემოდგომამდე დადგა. უკანასკნელს თავისი სიდიდით რ. ს. ფ. რ. სხვა ფაბრიკებში არსებობს მეოთხე ადგილი უჭირავს. მალეულობას „გლატ-ექსტილის“ განყოფილებამ ეს უკანასკნელიც დამარტყმულ ფაბრიკების რიცხვში ჩაირიცხა. მას აქვს 16 საქსოვი მანქანა, 9,210 თითისტარი და 165 დაზვა. თავისუფალი მსვლელობით ფაბრიკამ შუა ავვისტოდან დაიწყო მუშაობა, როდესაც მიიღო სათბობი მასალა—ნავით.

### მუშაობის განახლება

ჩვენ მივიღეთ ცნობები, რომ ორი წლის უქმნათ დგომის შემდეგ ისევ ამუშავდა კანაფის ფაბრიკა ყოფილ სავაქრო სახლის მ. პრუნივის ქ. პოგოროდსკის ახლოს (მოსკ. გუბ.), იგი აზხადებს საქონელს სამხედრო საქაროებისათვის.

### შრომის ნაყოფიერება

ლუგანსკი. მიუხედავთ ტენიკურ მასალის საგრძობ სიმცირისა, გარტ მანის მუშებმა ორი ახალი ორთქვალი, ორი ორთქვალის ქვაბი და შესარულეს სუთი კაპიტალური რემონტი.

### ბ ა მ ბ ა

უკანასკნელ დღებში ორენბურგში ჩამოვიდა 45 ვაგონი ბამბა და 11 ვაგონი ტყავეულობა. ტენტრში გაიგზავნა: 34 ვაგონი ბამბა. ორენბურგში დგას ახლა უწინდელთან ერთად ბამბა 181 ვაგონი, ტყავეულობა 29, მატყლი 23

### სასოფლო მეურნეობის ელექტოფიკაცია

საგუბკომო განყოფილებამ მიუჩინა ასი დესეტინა მიწის ნაკერი საზინჯი მინდვრის გასაფართოებლათ. საზინჯ მინდვრის მიზნით აქვს დასახული სასოფლო მეურნეობის ელექტროფიკაცია. პეტერბურგის ახლო მოწყობილმა საზინჯმა მინდორმა საგრძობი ნაყოფი დატოვა.

